საჯარო სამართლის იურიდიული პირი-
მანათლების ხარისხის მანვითარების
ეროვნული ცენტრი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW-
NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

MES 6 18 00047818

18/01/2018

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს,
ბატონ მიხეილ ჩხენკელს

ბატონო მიხეილ,
როგორც მოგეხსენებათ, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონში 2018 წლის 11 იანვარს განხორციელებული ცვლილებების თანახმად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო შედგება მუდმივი წევრებისა და მოწვეული წევრებისაგან. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს საქმიანობაში მოწვეული წევრები მონაწილეობენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიერ წარდგენილ საავტორიზაციო განაცხადში მითითებულია „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 75-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული რეგულირებადი აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა (მედიცინის ერთსაფეხურიანი პროგრამა). უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მოწვეულ წევრებს აქვთ ხმის უფლება.

ამასთან, განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მოწვეულ წევრებს სამინისტროს წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მოწვეული წევრების კანდიდატურათა შერჩევისას სამინისტრო ხელმძღვანელობს საბჭოს დაკომპლექტებასთან დაკავშირებით სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის მიერ დადგენილი მოთხოვნებითა და კრიტერიუმებით *(იხილეთ დანართი).*

გაცნობებთ, რომ სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის მიერ დადგენილი მოთხოვნებისა და კრიტერიუმების თანახმად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრების უმრავლესობას უნდა ჰქონდეს სამედიცინო განათლება და სამედიცინო საზოგადოებაში უნდა სარგებლობდნენ მაღალი რეპუტაციით. დადგენილი მოთხოვნების თანახმად საბჭოს წევრების დაახლოებით:
- ერთი მესამედი წარმოდგენილი უნდა იქნეს სამედიცინო პროგრამის განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სრული დატვირთვის მქონე აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალით, რომელთა დასახელებაც შესაძლებელია მოხდეს მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან;

- ერთი მესამედი წარმოდგენილი უნდა იქნეს პრაქტიკული გამოცდილების მქონე მოქმედი ექიმებით, რომლებიც დასაქმებულები შეიძლება იყვნენ საავადმყოფოებში, რომელთა დასახელებაც შესაძლებელია მოხდეს პროფესიული ასოციაციიდან;
- ერთი მესამედი წარმოდგენილი უნდა იქნეს ძირითადი დაინტერესებული მხარეებიდან, მაგალითად იმ სამთავრობო მარეგულირებელი დაწესებულებებიდან, რომლებიც სახელმწიფოში არეგულირებენ სამედიცინო განათლების, ჯანდაცვის საკითხებს.

შესაბამისად, ზემოთ მოცემული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მოწვეული წევრების რაოდენობა განისაზღვროს 15 წევრით.

იმის გათვალისწინებით, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს უახლოეს პერიოდში მოუწევს ისეთი საავტორიზაციო განაცხადების განხილვა, სადაც მითითებული იქნება მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა, მოგმართავთ თხოვნით, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უზრუნველყოს საქართველოს პრემიერ-მინისტრისთვის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მოწვეული წევრების კანდიდატების წარდგენა.

დანართი: 14 (თოთხმეტი) ფურცელი.

პატივისცემით,

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
თამარ სანიკიძე